საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის № 164 სამშაბათი, თებერვლის 6 (19) 1918 წ. № 164

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო.

სახალხო კომისრების საბჭოსა და რუმინიას შორის გამწვავებული მდგომარეობა.—პეტროგრადში ბოლშევიკებს შორის დიდი განხეთქილებაა ზავის საკითხის გამო.—იალტა თათრებმა დაიკავეს.—ოსმალთა ჯარმა ბაიბურთი დაიკავა.—ჯულფის გზაზე სომხებსა და თათრებს შორის შეტაკება.—სექტანტები სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებული არიან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ს. ა. ნასყიდოვის სააგენტოს ყოფილი მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 თებერვალს, ღამით გარდაიცვალა სააგენტოს პატრონი

სტეფანე ანდრიასძე

ნასყიდოვი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, მიცვალებულის ბინაზე (დიდი მთავრის ქუჩა, № 113). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 164

ქართ. დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 32.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრ. დასის მიერ ვ. შუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ალლუმი

კომ. 4 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., იმერიელი ა., კავთელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ვაჟნი: გუნია ვ., გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმხნელი გ., იმედაშვილი ა., ქავიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. რეჟ. ვ. შალიკაშვილი. 175

მოქალაქენო!

ამით გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 1918 წლის 1 იანვრიდან, თამბაქოს ფაბრიკა ძმათა ფირალოვებისა, აღებულია იჯარით გარეგინ ვართანისძე ბუზოღლის მიერ.

ჩვენ გვაქვს დამზადებული აჟარული, საუკეთესო სოხუმის, მაიკოპის და ყირიმის თამბაქოები, აგრეთვე ჩვენგნივე შეძენილია ნამდვილი თათრული თამბაქო,—საკარაოდ გაყიდული სევასტოპოლში, როგორც სამხედრო ნადავლი.

მქონე დიდის გამოცდილებისა თამბაქოს საქმეში, ვთანამშრომლობდით მრავალ ხნის განმავლობაში და ვაწოდებდით ფურცლებთ თამბაქოს რუსეთის დიდ ფაბრიკებს, აგრეთვე შევისწავლეთ ადგილობრივ შერჩევა და არევა (МѢШКА) თამბაქოსი—ეგვიპტეში და ამერიკაში.

ვბედავთ ვიქონიოთ იმედი, რომ ჩვენი ფირმის მიერ გამოშვებული ნაწარმოები, როგორც ფასით, ისე ღირსებითაც იქნება კონკურენციის გარეშე.

იმედი გვაქვს, რომ არ დაგვტოვებთ ყურადღებოდ და ღირს გვყოფთ შეკვეთითა.

ფაბრიკის კანტორა და თამბაქოს მაღაზია ღიაა: დილის 9 ს-დან 2-დე, ნაშუადღევის 4 დან 6 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ქუთაისი, ტფილისის ქუჩა, სახ. სახ., ფოსტის ყუთი, № 20.

ტელეგრამის ადრესი: ქუთაისი, თამბაქოს ფაბრიკა ბუზოღლი:

139 პატივისცემით რწმუნებული გ. გ. ბუზოღლისა ა. გ. ტაეციშვილი

გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს" პირველი ნუმერი

ჟურნალი 3 თვით ღირება ცხრა მანეთი, კალზე მუდველებისათვის 4 მანეთი.

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში „სახალხო საქმის" კანტორაში. ქუთაისში გიგლა მებუკესთან „ხალხის მეგობრის" რედაქციაში, თინა გველესიანთან. ბათუმში სერგო გერსამიასთან. ახალ სენაკში გ. ჯაკობიასთან. ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან. ხონში მოსიკ ჟელიძესთან გ რში სიმონ მაკაჯარიანთან. თელავში სიმონ წერეთელთან.

პირველი ნომრის კალზე ყიდვა შეიძლება ჯერჯერობით ტფილისში „სახალხო საქმის" კანტორაში, ქართველთა შ. წ-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ქართული კლუბის შესავალთან სიმონ გალაშვილის „კიოსკში". ყოველივე მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. პრომეთეს რედაქციას.

11 თებერვალს დანიშნული კოოპერატივ

მეურნის

ჩვეულებრივი წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება,
3. მიმდინარე საკითხები;
4. წესდების ძალით გასულ გამგეობის ორი წევრის არჩევა.

კრება მოხდება ახალ კლუბში, დილის 12 საათზე.

კრება მეორეჯერ ინიშნება და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1065

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 12—90.

დღეს, 6 თებერვალს, გაიმართება

სიმონ ჩერკინის ბენეფისი

(20 წლის იუბილე); ბენეფიციანტი აჩვენებს საუკეთესო ნომრებს; მგზავრებით სავსე ეტლს დაატრიალებს ცირკში, მოაწყობს იაპონურ ხაქანაობ და სხ. მიიღებენ მონაწილეობას სხვებიც. ჭიდაობს 5 წყვილი: ჩურკინმა ფრანგულ ჭიდაობის მატჩში გამოიწვია [illegible] 1. ჩურკინი და [illegible] 2. [illegible] და ტუგუსიანც; 3) რაგო და მედელაური; 4. ზაიშკო ციგანევიჩი და დობრინია; 5. ზერბეკ როლანდი და ჯოე-მორა.

ანონსი: ხვალ პირველი გასტროლია პეტროვის. 166

ტფილისი, 6 თებერვალი 1918 წ.

მკვლელობა სოფლად

ფრიად სამწუხარო ამბები მოდის სოფლებიდან, განსაკუთრებით ქართლის სოფლებიდან, გლეხობაში ვრცელდება დიდი და ხმას ავრცელებენ: თავად აზნაურობა თუ არ ამოხოცეთ, ვერაფერს მიიღებთ, ძირიან-ფესვიანად უნდა ამოვგდოთ მათი გვარიო. მართლაც ამ რამდენიმე ხნის განმავლობაში საზიზღარი მკვლელობანი მოხდა, არ დაინდვიათ არც ქალი და არც ბავშვები. ანარქიულად რევოლიუციონურ და კლასიურ ბრძოლის ადგილს იჭერს პარტიზანული მკვლელობა, კულტურულ საშუალებანი უკულტურო და ველურმა შესცვალა. საუკუნოებით სიძულვილმა ეხლა თითქოს ერთბაშად გადმოხეთქა და მკვლელობის ხასიათი მიიღო.

ასეთი მკვლელობანი, როგორიც ეხლა, ჰხდება ქართლში—პირველი როდია. ასეთივე ამბები ჰხდებოდა 1905 წელს იმავე ქართლში. ეს იმით აიხსნება, რომ ქართლი ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი კუთხეა. და როგორც მაშინ ვიყავით უნაყოფო ველურობის მოწმენი, ისე ეხლა შეიძლება გავხდეთ მოწმენი. მთელი ოჯახობის გადაბუგვისა და მკვლელობათა. თუ ეხლავე საჭირო ზომები არ იქნა მიღებული, უეჭველია ეს მკვლელობანი მალე გავრცელდება და ეპიდემიურ ხასიათს მიიღებს. საქმე ისაა, რომ შეუგნებელი ნაწილი გლეხობისა არა კმაყოფილდება მარტოოდენ მემამულეების ხოცვას—იგი სწვავს და ანადგურებს ყველაფერს, სხვათა შორის კულტურულად დამუშავებულ ადგილებს, იმ მამულებს და სიმდიდრეს, რომელიც თავისთავად მისი უნდა შექნეს და სახალხო საკუთრებად გადაიქცეს.

ყველა პოლიტიკური პარტია გადაჭრით ჰგმობს ამისთანა საშუალებას ბრძოლისას. თვით ბოლშევიკებიც კი, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით მასსის ბნელ ინსტინქტების გაღვიძებაში, ამას წინად შაუმიანის პირით სასტიკად ჰგმობდნენ მკვლელობებს და მოუწოდებდნენ დარაზმულ ბრძოლისაკენ. თავისთავად ცხადია, ყველა რევოლიუციონურ-დემოკრატიული პარტიის მოვალეობაა აქტიურად ჩაერიოს ხალხში და ამ სტიქიურ მოძრაობას მისცეს შეგნებული ხასიათი. სოფლის პროპაგანდისტებმა უნდა ჩააგონონ ხალხს, რომ უაზრო მკვლელობანი მავნებელია რევოლიუციისა და თვით მათ საქმისათვის. მით უმეტეს, რომ თავად-აზნაურობა, როგორც წოდება უკვე მოსპობილია და არც სურვილი აქვს იბრძოლოს თავის მამულებისათვის. იგი მხოლოდ თავის ფიზიკურ არსებობისათვის ზრუნავს, როგორც თანასწორი მოქალაქე რუსეთის რესპუბლიკისა.

მაგრამ მარტო ჩაგონება, ქადაგება არა კმარა. საქმე ისაა, რომ გლეხს არა სჯერა, იგი ჯერ ჯეროვნად ვერ დარწმუნებულა, რომ რევოლიუცია საბოლოოდ დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით მიწის შესახებ. ამიტომ იგი თავისით, ცალკე ისწრაფვის დაიკმაყოფილოს იგი და ამიტომ რევოლიუციონური შემოქმედება იღებს სტიქიურ მოძრაობის, ანარქიის ხასიათს. მაშასადამე აუცილებლად ეხლავე საჭიროა მიწის საკითხის გადაწყვეტა, მისი გადაცემა სოფლის საგანგებო კომიტეტებისათვის, რათა გლეხობა დარწმუნდეს, რომ მას რევოლიუციონური მთავრობა უდგას სათავეში და საზოგადოებრივი უფლება არ უარჰყოს, დაიმორჩილოს მის ნორმებს. თუ ეს საქმე არ მოგვარდა, უეჭველია ის სამწუხარო მკვლელობანი, რომელიც ეხლა ჰხდება აქა-იქ ქართლში—ძალიან გავრცელდება. მაშასადამე პოლიტიკურ პარტიების უპირველესი მოვალეობაა აუხსნან ხალხს, ჩააგონონ მავნებლობა ამნაირის ტერორისა, ხოლო მთავრობამ და სეიმმა ეხლავე, დაუყოვნებლივ უნდა გადასწყვიტონ მიწის საკითხი და ნიადაგი მოსპონ აგრარული ტერორისათვის.

ეროვნული ფრონტი და ბურჟუაზია

თუ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში ჩავიხედებით ზედაპირის მაგიერ სასოების წარმტაცი სურათი გადაგვეშლება. ჩვენი ხალხი სავსებით გადატაკდა, დაუძლურდა, ქონებრივად დაეცა. დღეს დიდი და პატარა აზიანებს და ათასიანებს ატრიალებს, ბევრი გახარებულია დიდი ჯამაგირით, მაგრამ სერიოზულად რომ ჩაუკვირდეთ სინამდვილეს ადვილად შევამჩნევთ, რომ ქაღალდის ფულები უფრო „ხელის ჭუჭყია" და არც ჩვენს სახლ-კარს, არც ავეჯს, არც ტანს და არც საკვებს არა თუ გაუმჯობესობა, იმ დროის სიმდიდრეც აღარ ატყვია, როცა სამი და ოთხი თუმანი კარგ ჯამაგირად იყო ცნობილი.

ყოველგვარ თავისუფლებას, დიად მიზნებს აზრი და მნიშვნელობა დაეკარგება, თუ ეკონომიური მდგომარეობა არ შეიცვალა, თუ ხალხმა ქონებრივი სიმდიდრე არ შეიძინა, თუ საზოგადოებრივი სიმდიდრე მართლა არ დარჩა საზოგადოების საკუთრებად. ეკონომიური კულტურა პარტიულ კულტურის პრობლემა როდია, ეს საყოველთაო, ეროვნული პრობლემაა და [illegible] ლად უნდა მოხდეს ეროვნული დარაზმვა და ეროვნულ ფრონტის შექმნა.

თანამედროვე რევოლიუციის უმთავრესი მიზანიც ეკონომიურ კულტურის დაწინაურებაა. პროლეტარიატის მიზანია ეკონომიურ თანასწორობის აზრს ეხლავე მოუპოვოს ნიადაგი და რევოლიუციის პროცესშივე შექმნას ობიექტიური პირობა საზოგადოებრივ კოოპერატიულ ეკონომიკის ორგანიზაციით, რათა ეკონომიური ერთობა და თანხმობა მიზნად და იდეალად დაესახოს მშრომელ საზოგადოებას.

ამ უდიდეს ეკონომიურ მიზნების განაღდებაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი არსებობა: ფიზიკური დაწინაურება, სულიერი და ზნეობრივი ამაღლება, კულტურული და ხელოვნური ფაქტორების სიდიადე შედეგია საერთო მწარმოებელ ძალთა განვითარებისა, **ეკონომიურ თანხმობა-მშვიდობიანობისა.** რევოლიუციამ ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა, მშრომელ ხალხს უფლებები მისცა, ქონებრივი მდგომარეობაც რამდენადმე გააუმჯობესა მდიდრების შემოსავლის შემცირებით, რაიცა აუცილებლად მოასწავებს ეკონომიურ თანასწორობის განმტკიცებას, თანდათან გაფართოვებას, ვიდრე სოციალიზმი დამყარდებოდეს, მაგრამ რევოლიუციის ამ მთავარ ღერძს წაღეკვას უპირებს საშინაო ცხოვრების არევ-დარევა, ანარქია, ჯარის დემობილიზაციის უგვანო ფორმები. რომელთაც შეუძლიათ გაუსწორებელი ზიანი მოგვიტანონ, გაამეფონ არევ-დარევა და ანარქიის წიაღში ბონაპარტიზმი დაბადონ რევოლიუციის მიზნების ასალაგმავად.

ქართველი საზოგადოება ეხლაც კლასობრივად არის დანაწილებული, არ არის ძალთა შორის ეკონომიური ერთობა, რომ შეიქნეს ეროვნულ პოლიტიკური ერთობა და ამის გამო დემოკრატიულ საზოგადოების და რევოლიუციის დაღუპვა ძალიან გაახარებს ქართველობის ერთ ნაწილს, ნაწილს ბურჟუაზიულს და ფეოდალურს, რომელიც სიმდიდრის კუთხეშია წამოსკუპებული. მაგრამ დღეს არის მომენტი, როდესაც ბურჟუაზიასაც შეუძლია დაინახოს საფრთხე ფიზიკურ არსებობისა, უდიდესი ანარქიისა, რომლის წინაშე ბურჟუაზიას შეუძლიან ფარ ხმალი დაყაროს.

საშინაო ცხოვრება აწეწილ დაწეწილია, მაგრამ არც საგარეო ცხოვრებაა დაწყნარებული, რომ ბურჟუაზიულმა ელემენტებმა უცხოეთში წასვლით მოახერხონ ანარქიის თავის დაღწევა. მართალია, ბურჟუაზია გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება, თანამედროვე ომი დაიწყო და ომის ველზე დამარცხებამ საშინაო ცხოვრების ფრონტზედაც კატასტროფა გამოიწვია რევოლიუციის გამარჯვებით. მალე წელიწადი შესრულდება, რაც ბობოქრობს რევოლიუცია და არავითარი ნიშანი არ არის, რომ რევოლიუცია დამარცხდეს. ბურჟუაზიულმა ძალებმა ერთხელ და უკანასკნელად უნდა სთქვან, რომ მათი მომავალი ნარ-ეკლით არის მოფენილი, რომ მათ დაკარგეს წინანდელი მდგომარეობა და ამიერიდან თვით მათთვის უმჯობესია რადიკალურად დაადგნენ დათმობის გზას, ბედს დაემორჩილონ, კონტრ-რევოლიუციის აზრს საბოლოოდ ჩამოეხსნენ და მიყვნენ იმ გზას, რომელიც მუშათა კლასის გაძლიერებას გულისხმობს ბურჟუაზიის ხარჯზე.

კარგად უნდა დავიხსომოთ შემდეგი: რევოლიუციის ბედი შეიძლება მხოლოდ [illegible] როცა მოელის ჩვენს ფიზიკურ არსებობას მოსპობს. რევოლიუცია შეასუსტებს ბურჟუაზიას, როგორც კლასს, მატერიალურ ერთეულს, მაგრამ დაიცავს ადამიანს, პიროვნებას. რეაქცია კი მოსპობს თავის ტალღებში სიმდიდრესაც და თეთრი ტერორით ადამიანებსაც. უეჭველია, პირდაპირი ინტერესი რევოლიუციის ფრონტს უნდა დაემორჩილოს ბურჟუაზია სავსებით და არას შემთხვევაში არ გაყვეს მგლის შესახებ ნათქვამ ხალხურ არაკს.

ეროვნულ ფრონტის შესაქმნელად ჩვენ ხშირად ვსწერდით მემარცხენე პარტიებზე. სინტეზი სოციალისტურ პარტიებისა ამ ჟამად აშკარაა ყველასათვის: სოფლად მიწის სოციალიზაცია, ქალაქად მუშათა კონტროლი მრეწველობაში და შრომის ორგანიზაცია, პოლიტიკაში დემოკრატიულ ფედერატიული რესპუბლიკა. ეს არის რევოლიუციის და სოციალისტურ პარტიების ზოგადი ფორმულა, პროგრამული სინტეზი, შინაარსი ეროვნული ფრონტისა.

ამ ჟამად ყურადღებას მივაქცევთ ბურჟუაზიულ ელემენტებისას და მათ მოვსთხოვთ, რომ კლასობრივ პოზიციების დათმობით დაემორჩილონ აღნუსხულ რევოლიუციონურ ეროვნულ ფრონტის შინაარს და მით ხელი შეუწყონ ნორმალურ ცხოვრების დაწესებას.

თედო ღლონტი.

საქართვ. ეროვ. საბჭო

სოფლად.

2 თებერვალს ქ. თელავში საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწოდებით გაიმართა თიანეთისა და თელავის მაზრების საკრედიტო და მომხმარებელ ამხანაგობათა წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი არჩილ ჯაჯანაშვილი, რომელმაც დაწვრილებით აუხსნა მნიშვნელობა ეროვნული საბჭოებისა ჩვენს ცხოვრებაში. საბჭოს სახელით მან სთხოვა ყრილობას ქონებრივი და ზნეობრივი დახმარება. ყრილობამ, რომელსაც 17 საკრედიტო და მომხმარებელი ამხანაგობის წარმომადგენელი და „კახეთი"-ს ამხანაგო-

ბის საზოგადო კრება მთელი თავისი შემადგენლობით დაესწრო, მიიღო რამდენიმე საყურადღებო რეზოლიუცია. ერთხმად და ერთსულოვნად იყო მიღებული რეზოლიუცია, რომ საჭიროა კოოპერატივები დაეხმარნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ქართველი დემოკრატიის უმაღლეს ორგანოს დღევანდელს პირობებში. გარდა ამისა, თვით კოოპერატორთა თაოსნობით და წინადადებით მიღებულ იქმნა რეზოლიუცია იმ პრაქტიკული ზომების შესახებ, რომლებიც კოოპერატივებმა უნდა მიიღონ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ქონების გასაძლიერებლად, გარდა ერთდროული დახმარებისა. მოგვყავს ეს რეზოლიუცია: „ყრილობა სასურველად სცნობს, რათა კოოპერატიულმა დაწესებულებებმა ნაჭერ საქონელს დაადონ მკირეოდენი პროცენტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. აგრეთვე ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაიწიოს პროპაგანდა, რომ წევრებმა შენახულ ფულის პროცენტი გადასდონ ეროვნული საბჭოს სასარგებლოდ. ამასთანავე ერთად, რადგანაც ხალხში ფული ბევრია მოგროვილი და დღევანდელს პირობებში ხშირად უსარგებლოდ დევს, საჭიროა ეროვნულმა საბჭომ მოუწყოს შინაური სესხი და სესხი უზრუნველ ჰყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ქონებით“.

ყრილობამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც კახეთის კავშირის გამგეობასთან ერთად ზომები უნდა მიიღოს ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

იმავე დღეებში, როდესაც ყრილობა იყო, თელავში გაიმართა „კახეთი“-ს საზოგადოების საზოგადო კრება. საქართველოს ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი არჩილ ჯაჯანაშვილი დაესწრო საზოგადო კრებას, რომლის უმრავლესობასაც გლეხები შეადგენენ, და მათაც გააცნო საქმის ვითარება. კრება დიდის თანაგრძნობით შეხვდა ეროვნულ საბჭოს მოწოდებას და ერთხმად დაადგინა: „1) გადაიდოს ხუთი პროცენტი წევრის მიერ ჩაბარებული ღვინის ფასისა ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ და 2) პირველ თებერვლიდან ბოთლზე ორი შაური პრეისკურანტის ფასის მიხედვით გადაიდოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ. თანახმად პირველი დადგენილებისა, ეროვნული საბჭო მიიღებს დაახლოებით 60 ათას მანეთს, თანახმად მეორე დადგენილებისა [illegible] ათას მანეთს. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართვ. ეროვნულ საბჭოს მოწოდებას თელავის მაზრა დიდის თანაგრძნობით შეხვდა.

კვირისთვის დანიშნული კრება ეროვნულ საბჭოსი გადაიდვა ოთხშაბათისთვის.

—

დღეს, 6 თებერვალს, სწორედ ორ საათზე დანიშნულია „სახალხო მეურნეობის“ სექციის კრება. განსახილველია მრავალი საყურადღებო საკითხები. წევრებს ვთხოვთ კრებაზე ნუ დაიგვიანებენ. (ადრესი: ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომი, ფრეილინის ქ. № 1).

—

ხვალ, 7 თებერვალს, დღისით 2 საათზე დანიშნულია შეერთებული სხდომა: სახალხო მეურნეობის სამხედრო სექციათა და სასურსათო კომიტეტების წარმომადგენელთა.

განსახილველია საკითხი ქართული კორპუსის უზრუნველყოფისა სურსათის მხრივ. (ადრესი: ეროვნული საბჭოს სადგომი, ფრეილინის ქ. № 11).

კომისიის სხდომა.

ეროვნულ საბჭოსთან არსებულ საერო განათლების სექციის საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის საგნობრივი კომისია სთხოვს ყველა წევრს კომისიისას, განსაკუთრებით მოწვეულ სპეციალისტებს და ამ საგანთა მასწავლებლებს უეჭველად მობრძანდნენ კომისიის სხდომაზე, რომელიც დანიშნულია ქ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ბალახის ქ., № 6) ხუთშაბათს, 8 თებერვალს, საღამოს სრულს 5 საათზე, დასწრება ყველა მოხსენებულ პირთათვის სავალდებულოა.

შემოწირულება.

გაძლევთ ოთხას თხუთმეტს მანეთს (415 მან.) შეკრებილს ჩვენს მიერ ტფილისის სახაზინო პალატის, ხაზინის და ხარჯთ ამკრებთა ინსპექციის მოხელეთა შორის, საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ვთხოვთ ყველა გაზეთებს ეს ცნობა გადაბეჭდონ.

პატივისცემით: **გ. ხაუტაშვილი, მ. ორხილაძე.**

—

კვირას, 11 თებერვალს, დილის ათ საათზედ ქართულ გიმნაზიის შენობაში საქ. ეროვნულ საბჭოსთან არსებული სამათემატიკო სექცია იწვევს მათემატიკის და ფიზიკის მასწავლებელთა კრებას. ამ კრებაზე განიხილვენ მათემატიკის და ფიზიკის ტერმინოლოგიას. კრებაზე მოწვეულნი არიან ქართული ენის მცოდნენიც. სამათემატიკო სექცია სთხოვს ტფილისის მათემატიკის ყველა ქართველ მასწავლებელს და აგრეთვე დაინტერესებულ პირთ დაესწრონ ამ კრებას და თავისი წვლილიც შეიტანონ სამათემატიკო და საფიზიკო ტერმინოლოგიის შექმნაში. ამ კრებას წარედგინება რამოდენიმე სია ტერმინებისა.

ზავის გარშემო

ბოლშევიკები და ზავი

ზავის საკითხში ბოლშევიკებს შორის დიდმა განხეთქილებამ იჩინა თავი. ფრაქციის ერთი ნაწილი მოითხოვს ზავის შეკვრას იმ პირობით, რომელიც გერმანიამ წამოაყენა. ფრაქციის უმრავლესობა ამის წინააღმდეგია და მოუწოდებს საღმრთო ომის დაწყებისაკენ. უკანასკნელ მიმდინარეობას მემარცხენე ს.-რევოლიუციონერებიც ემხრობიან. ინტერნაციონალისტების აზრით, ისეთი შემადგენლობის მთავრობა, როგორიც ამ ჟამადაა, ვერ შესძლებს ომის წარმოებას. რუსეთს იხსნის მხოლოდ კოალიციური მთავრობა ყველა სოციალისტებისაგან შემდგარი, ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტამდე. თუ სახალხო კომისარების საბჭო გადასწყვეტს საღმრთო ომი გამოუცხადოს გერმანიას, საკითხი კოალიციური მთავრობის შედგენისა უახლოეს დღეებში გადაწყდება. ტროცკი მოუწოდებს საზავო მოლაპარაკების უნაყოფოდ ჩატარება საერთაშორისო პროლეტარიატს დააბრალონ, დაითხოვეს ჯარი და გერმანელებს სრული თავისუფლება მისცეს მოქმედებისა ზავი კი არ შეკრან.

საყოველთაო ზავის პროექტი.

მოსკოვში ცნობები მოვიდა, რომ ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეებში გავრცელებულია ნახევრად ოფიციალური დოკუმენტი ერთი ნეიტრალური სახელმწიფოსი, სადაც საყოველთაო ზავის ძირითადი პირობებია შემუშავებული. ამ დოკუმენტის მიხედვით ელზას-ლორენის საკითხი პლებისციტით უნდა გადაწყდეს; ინგლისმა უნდა აუნაზღაუროს გერმანიას კოლონიებისათვის; გერმანიის მიერ მიღებული ფული კი უნდა მოხმარდეს საფრანგეთის, რუმინიის, სერბიის და ბელგიის განადგურებული ადგილების აღდგენას. რუსეთის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გერმანიას აქვს დაპყრობილი, ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა გამოცხადდეს, რომელიც გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იქნება.

მეორე რევოლუცია

უმუშევრობა პეტროგრადში და ინტელიგენცია.

უმუშევრობის და სიმშილობის გამო პეტროგრადის ვექილების, ექიმების და სტუდენტების უმრავლესობას შავ სამუშაოს მოუკიდა ხელი; ისინი დგებიან მტვირთველებად, ლაქიებად, ბარგის მზიდველებად და დააქვთ ქალაქში რძე და ფეხსაცმელების წმენდელობასაც ასრულებენ. ამ პროფესიების მუშები ძალიან შეაშფოთა ჯერ არნახულ გარემოებამ, რადგან მათ კონკურენტები გაუჩნდნენ ინტელიგენტების სახით. ამის გამო ისინი პირდაპირ ტერორსაც მიმართავენ და ბევრი ინტელიგენციაც დახოცეს. ამასთანავე ერთად მათ შეამდგომლობა აღძრეს პროფესიონალურ კავშირებში [illegible] უკრძალონ უნივერსიტეტსა და გიმნაზიაში კურს დამთავრებულთ ხსენებულ პროფესიების მუშაობის გაწევა.

ლენინი და ინტელიგენცია.

ლენინმა მოწოდებით მიმართა მუშებს, რომელშიაც ამბობს, რომ ინტელიგენცია საწარმოო განვითარებაში დიდმნიშვნელოვანია და სრულებით შეუსაბამოა მათთან ბრძოლა, რომელსაც ძალადობა ახასიათებს.

რუსეთი და რუმინია.

რადგან რუსეთის სახალხო კომისარებსა და რუმინიის შორის მდგომარეობა გამწვავდა. ტროცკიმ სასწრაფოდ გამოიწვია სტოკჰოლმიდან რუმინელი სოციალისტი რაკოვსკი, რომელიც, მცოდნე პირთა სიტყვით, დახელოვნებულია რუმინიის იმპერიალიზმთან ბრძოლაში, განზრახულია მიენდოს რაკოვსკის რუსეთ-რუმინიის ინციდენტის ლიკვიდაცია და მას უფლება მიეცემა სასტიკი ზომებიც მიიღოს თუ რუმინია არ დააკმაყოფილებს ტროცკის მოთხოვნებს.

რუმინიის გამოლაშქრება კიშინიოვზე.

რუმინელთა მოძრაობა კიშინიოვზე შეაჩერეს ბოლშევიკურმა ნაწილებმა, რომელნიც რუმინიის ლაშქარს შეებრძოლნენ. ოდესის მხრით ბოლშევიკებმა მეზღვაურები და ჯავშნიანი ავტომობილები გაგზავნეს რუმინელთა შესახვედრად.

რუმინიის ელჩის დაპატიმრება

ბოლშევიკებმა ოდესაში დააპატიმრეს რუმინიის ელჩი და რუმინიის პარლამენტის რამდენიმე წევრი.

რუმინია და უკრაინა.

ბოლშევიკებმა წინადადება მისცეს უკრაინელებს გაეწყვიტათ კავშირი რუმინიასთან: წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ სასტიკ ზომების მიღებას კიევში და საყოველთაო ტერორის გაძლიერებას უკრაინაში.

უკრაინის იზოლიაცია.

სამხრეთ-დასავლეთით ბოლშევიკები სამი მიმართულებით მოქმედებენ: კიევ—ბობრინსკას, ოდესა—რუმინიისა და ჰომელის. ბოლშევიკების მიზანია მთავარი პუნქტების და მაგისტრალების ჩაგდებით სრულებით მოსწყვიტონ უკრაინა მეზობლებს, როგორც დონის მხრით, ისე რუმინიის და ცენტრალურ რუსეთს.

ახალი წითელი რაზმელები.

სახალხო კომისარების საბჭოს განკარგულებით უკვე შეუდგნენ ახალი რაზმების მოწყობას, რიცხვი იმ წითელ-რაზმელებისა, რომელსაც ფაბრიკა-ქარხნებშია, გამოიყვანენ, უნდა შეადგენდეს ყველა მუშის 15 პროც. წითელ რაზმებს განუწყვეტლივ აგზავნიან უკრაინასა და დონში.

თათრები იალტაში.

იალტა თათრებმა დაიკავეს. ამავე დროს თათრებმა ხელთ ჩაიგდეს უახლოესი ქალაქები. ბოლშევიკები გარ[illegible]

თათრები და ბოლშევიკები

რადგან თათრების მოძრაობამ რთული ხასიათი მიიღო, ბოლშევიკები თავის ძალებს დიდის სისწრაფით აგროვებენ. სასწრაფოდ ადგენენ ახალ წითელ რაზმებს ჯარის-კაცებისა და მეზღვაურებისაგან. სევასტოპოლის ნავთსაყუდელში გემების გულშემზარავი გუგუნი გაისმის. ქალაქში ავტომობილები მიჰქრიან შეიარაღებული მეზღვაურებით. ტელეგრაფს ჯარისკაცები იცავენ.

— თეოდოსიასა და სევასტოპოლს შუა ბრძოლა შესწყდა.

— სიმფეროპოლში თათრებმა დააპატიმრეს 200 მეზღვაური.

ბოლშევიკების მდგომარეობა პეტროგრადში

— ბოლშევიკური გაზეთები ოფიციალურად აღიარებენ, რომ პეტროგრადის მცხოვრებთა შორის ცხადად იჩინა თავი ანტი-ბოლშევიკურმა მიმდინარეობამ.

— პეტროგრადის მუშების ბოლშევიკური განწყობილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც დამფუძნებელი კრება გარეკეს და დემოკრატიის მონაწილენი დახოცეს. დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელნიც აქამდე იცავდნენ დამფ. კრებას, ეხლა უკვე აღარ მოქმედებენ აქტიურად.

— ბოლშევიკებს შორის დიდი განხეთქილებაა, განსაკუთრებით ომის საკითხში.

— გორკის „ნოვაია ჟიზნი“ დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ მიტინგებს, რომელნიც ობუხოვისა და სემიონიკოვის ტყვია-წამლის ქარხნებში ხდება. ამ მიტინგებზე ჰკიცხავენ სახალხო კომისარების პოლიტიკას და მოითხოვენ პეტროგრადის საბჭოს ხელ-ახალი არჩევნების მოწყობას. გაზეთი სწერს რომ პეტროგრადის მუშები თან-დათან ფხიზლდებიან. ჩვენ გვრწამს, სწერს გაზეთი, რომ ამ გზით შეიძლება უბედურებას თავი დავაღწიოთ და არა ურთი-ერთის ყელტა ხოცვით“.

ახალი ამბავი

◆ დღეიდან „სახალხო საქმე“ ღირს პროვინციაში და ტფილისში ექვს შაურად, რკ. გზის სადგურებზე—35 კაპ.

◆ **დეპეშა ზავის შესახებ.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ქ. არზრუმში გენერალ ოდიშელიძეს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა. დამატებად 16 იანვრის დეპეშისა კეთილ ინებეთ და გადაეცით ოსმალეთის მთავარ-სარდალს შემდეგი: „ბატონო გენერალო! უკანასკნელად მე ამიერ-კავკასიის კომისარიატის სახელით მქონდა პატივი მეცნობებინა თქვენთვის, რომ რადგან საჭიროა რამდენიმე გარემოების გამორკვევა, მთავრობა თავის უკანასკნელ პასუხს სამი კვირის შემდეგ გაცნობებთ მეთქი. ეხლა ამიერკავკასიის მთავრობა მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ზავის თაობაზე, მხოლოდ ძირითადი დირექტივები და ზავის პირობები შემუშავებულ იქნება ამიერკავკასიის სეიმისაგან, რომელიც მთელ ამიერკავკასიის სეიმისაგან, რომელიც მთელ ამიერკავკასიის, წარმომადგენლობით ორგანოდ ითვლება და რომელიც 10 თებერვალს იკრიბება ქ. ტფილისში. ვისწრაფი რა გაცნობოთ ეს თქვენ, ბ-ნო გენერალო, გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ იმ დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც უფლება მოსილი წარმომადგენელი იქნება საოტტომანო მთავრობისა სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში, ამასთანავე გვაცნობეთ თუ თქვენი მთავრობის აზრი ადგილისა და დროისა დელეგაციის შეხვედრად. ჩვენ წარმომადგენელთა შემადგენლობაზე გაცნობებთ ამ დღეებში. გთხოვთ თქვენ, ბატონო გენერალო, ირწმუნოთ, რომ ამიერკავკასიის მთავრობა სავსებით იზიარებს ატამანთა მთავარსარდალთან ერთად გულწრფელ სურვილს აღდგენილი იქმნას მშვიდობიანი ურთიერთობა, რომელიც ორივეს მხრით სანუკველია. ამასთანავე ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკება უახლოეს ხანში დასრულდება. ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გეგეჭკორი“. დანარჩენის შესახებ კეთილინებეთ პასუხი გვაცნობოთ. თავმჯდომარე კომისარიატისა გეგეჭკორი.

◆ **კრება.** ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კრება ქართველ გიმნაზიის შენობაში მოხდა კვირას, 4 თებერვალს. კრებამ განიხილა საზოგადოების წესდება და საჭიროდ სცნო რამდენიმე მუხლის შეცვლა.

◆ **უაზრო სროლა.** კვირას, ნაშუადღევს 4 საათზე, მიხეილის ქუჩაზე სავადმყოფოს შორიახლოს ეტლით მოდიოდა ოთხი შეზარხოშებული ქართველი ჯარის-კაცი, რომელთაც ტყუილა-უბრალოდ ისროლეს რევოლვერები. წითელგვარდიელებმა, რომელნიც შემთხვევით იქვე მიდიოდნენ, მათ სროლითვე უპასუხეს. სროლა რამდენიმე ხანს გაგრძელდა, რომლის დროს შეშინებული ხალხი მიიფანტ-მოიფანტა, ხოლო ტრამვაის ვაგონებმა შეწყვიტეს მიმოსვლა. ნახევარ საათის შემდეგ სრული სიწყნარე ჩამოვარდა.

◆ **საგუბერნიო ციხიდან რამდენიმე** ტუსაღი გამოიქცა 4 თებერვალს. ეს შენიშნეს წითელ გვარდიელებმა, რომელნიც მათ სროლით გამოეკიდნენ. სროლის დროს მოიკლა ერთი წითელ გვარდიელი. ტუსაღები მიიმალნენ.

◆ **მეტეხის ციხიდან** გაიქცა 4 ტუსაღი ფანჯრიდან თოკის საშუალებით. მილიციონერებმა სროლა ასტეხეს. იქვე მყოფ თათრებს ეგონათ—სომხები თავს დაგვესხნენო და ამიტომ საშინელი სროლა გააჩაღეს, მაგრამ როცა გამოირკვა, რომ გაქცეულ ტუსაღებს ესვრიანო, სროლა შესწყვიტეს.

◆ **სურსათის საქმე მომავალში.** სერგეი დანდუროვი, საგუბერნიო სასურსათო გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც ამას წინად ქ. ეკატერინოდარში გაემგზავრა სასურსათო ყრილობაზე დასასწრებლად, გადმოგვცემს, რომ სასურსათო საქმის მოწყობი ორგანიზაციები, ჩრდილო კავკასიაში რომ არსებობდნენ, ბოლშევიკურ მოძრაობის გამო დაიშალა და არც არავითარი იმედი არ არის, რომ ეს ორგანიზაციები ახლო მომავალში დაიწყებენ მოქმედებას. ამის გამო ამიერკავკასიაში მზადდება ნიადაგი დამშევისათვის და გამოკვებების გართულებისათვის. ხორბლის გამოზიდვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან ეს ხორბალი სათესლედ ეჭირვება თვითონ ჩრდილო-კავკასიელებს. რაც შეეხება სიმინდს, მაზანდა სიმინდისა ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა: ეხლა სიმინდი ფასობს 6—7 მანეთად ფუთი. ამით სარგებლობენ კერძო პირნი, რომელთაც დიდძალი სიმინდი შეიძინეს და ტფილისისკენ ურმებით მოაქვთ. თვითონ დანდუროვს უნახავს ოთხასამდე ურემი, სიმინდით დატვირთული, რომელიც ტფილისისკენ მოედინება.

◆ **ბაიბურთის აღება.** ქ. არზრუმიდან დეპეშით იტყობინებიან: „ლაშქრის უფროსმა გადმოსცა ერევნის კომისარს, რომ თუმცა ოსმალებს ჯერ არ აუღიათ ერზინჯანი და ბაიბურთი, მაგრამ ახლო მომავალში მოსალოდნელია მათი აღებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ სანდო წყაროებიდან გადმოგვცეს, რომ ოსმალეთის ჯარმა ბაიბურთი აიღო“.

◆ **რაზმის შედგენა.** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჯუგაანის სასოფლო საზოგადოების 150 ჯარისკაცი, რომელნიც შეაერთა სამშობლოს დაცვის შეგნებამ, თავისთავს რევოლიუციის და ეროვნული საბჭოს განკარგულებაში აძლევს. ამგვარი რაზმები სდგება ქიზიყში და კახეთში.“

პოლკოვნიკი შაიშმელაშვილი და სანდრო შანშიაშვილი.

◆ **დისლოკაციის გეგმა.** კომისარიატმა სასწრაფოდ მოსთხოვა საერთაშორისო სამხედრო საბჭოს დაუხანებლივ წარუდგინოს მას არსებულ და განზრახულ ეროვნულ ჯართა ნაწილების დისლოკაციის გეგმა, ე. ი. თუ რა ნაწილი სადა ბანაკობს.

◆ **შაქრის მონოპოლიის გაუქმება.** ამიერკავკასიის კომისარიატმა 3 თებერვალს გადასინჯა თავის დადგენილება 29 დეკემბრისა, რომლითაც ამიერკავკასიაშიაც ვრცელდებოდა შაქრის სახაზინო მონოპოლია, და ეს დადგენილება გააუქმა. ამრიგად შაქარი წინანდებურ ფასებში გაიყიდება.

◆ **ხუთი მილიონი მანეთი გადაეცა** ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით სასურსათო საქმეების კომისარს, რათა ამ თანხით შეიძინოს ჩრდილო კავკასიაში სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგე გამოსაკვებად ამიერკავკასიისა.

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** კვირას 4 თებერვალს ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი კრება გაიმართა.—რიგით საჭირო კითხვათა განხილვის შემდეგ მოხდა სტუდენტთა გამგეობის არჩევნები, რომლის უმთავრეს მოვალეობასაც შეადგენს ლექციების ბეჭდვის მოგვარება, მსმენელთათვის ბინების შესახებ ზრუნვა და სტუდენტთა ორგანიზაციის მოწყობა. გამგეობა შესდგება 9 კაცისა და 2 კანდიდატისაგან. არჩეულნი არიან შემდეგი სტუდენტები ხანანაშვილი, იმედაშვილი, კ. გამსახურდია, გ. საყვარელიძე, ს. ფაშალიშვილი, შალიკანი, ნაროუშვილი დ. მგალობლიშვილი, შ. გაბუნია, ხმალაძე, და კ. ჟვანია. გამგეობის პრეზიდიუმში შედიან: კ. გამსახურდია, ს. ფაშალიშვილი და გ. საყვარელიძე.

◆ **ქალაქთა კავშირში შესვლა.** კავკასიის ქალაქთა კავშირში შევიდნენ ახალი ქალაქები! ფოთი, სამტრედია და თელავი.

◆ **განთავისუფლება მობილიზაციისგან.** კომისარიატმა მწვალებლები (სექტანტები) გაანთავისუფლა მობილიზაციისგან, რადგან მათი სარწმუნოებრივი რწმენა ამას ეწინააღმდეგება.

◆ **კრედიტი.** ამიერკავკასიის კომისარიატმა წელიწადის ერთი მესამედის ვარაუდით კრედიტი, გახსნა 125 ათას მანეთისა დასაჯილდოვებლად იმ მოხელისე პირებისა, რომელნიც დედაქალაქის საპყრობილეებს სდარაჯობენ ნაცვლად სამხედრო მცველებისა.

◆ **შტატების გადასინჯვა.** კომისარიატმა დაადგინა გადასინჯოს ფრონტის და სამხედრო ოლქის შტაბთა შტატებთან.

◆ **ტრიბუნალი.** კომისარიატმა დაარსა დედა-ქალაქში სარევოლიუციო ტრიბუნალი.

◆ **საერთაშორისო სამხედრო საბჭო.** კომისარიტმა ამ საბჭოს წინადადება მისცა წარუდგინოს მას საბჭოს დებულებანი, რათა მოახდინოს მისი შესაფერი რეორგანიზაცია.

კომისარიატმა დაადგინა, რომ ყოველნაირი დადგენილებანი საერთაშორისო საბჭოსი შესახებ ამა თუ იმ ეროვნულ ჯარის შედგენა-გაფართოებისა წინასწარ უნდა ან კომისარიატს ან სეიმს წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად და მხოლოდ ასეთ დამტკიცების მერე უნდა იქნენ ცხოვრებაში გატარებულნი. რაც შეეხება დღემდე მიღებულ დადგენილებებს, ისინი [illegible] წარუდგინონ [illegible] კომისარიატს და სამხედრო [illegible] კომისარის დასკვნაც უნდა დაერთოს.

◆ **ქართული ოპერეტი.** დღეს, 6 თებერვალს ხელოსანთა კლუბში (მიხეილ პრ.) წარმოდგენილი იქნება 4 მოქ. ოპერეტი „არშინ-მალ-ალან“.

◆ **წელს შესრულდა 15 წლიწადი,** რაც ვალ. შალიკაშვილი გამოვიდა სამწერლო და სასცენო ასპარეზზე, ამის აღსანიშნავად იგი ქართულ კლუბში 15 თებერვალს მართავს სადღესასწაულო წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ერთ-ერთი მისივე პიესა.

სოფლად და ქალაქად

ქუთაისი

◆ 28 იანვარს ქუთაისი სწორედ რევოლიუციის პირველ მზიან დღეებს მოგვაგონებდა, ყველანი ისეთ გრძნობებს განიცდიდენ თითქოს ეს ეს არის ახლა იწყება ძლევა მოსილი რევოლიუცია, რომელიც წალეკავს უქადის ყოველგვარ უსამართლობას, ეროვნულ მონობას, სოციალურ ჩაგვრას.,. ამ დღეს ნათლად გამოსჭვივოდა რევოლიუციონური აღტაცება, აღტყინება. დიდი ხნით მიძინებულმა რევოლიუციონურმა სულმა კვლავ კამარა შეკრა და გააწითლა ქუთაისის ქუჩები ალის ფერ დროშებით. დიდძალი ხალხი, რომელმაც თავი მოიყარა თეატრის დარბაზში კიტას ხსოვნის პატივსაცემლად. პანაშვიდის გათავებისას, სოც.-ფედერალისტების დროშას გაყვა ქალაქის ბაღისაკენ. წინ მიუძღვოდა პარტიული დროშები და კიტას სურათი, მუსიკა ეროვნულ ჰიმნს, მარსელიოზით ცვლიდა. დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი ქალაქის ბაღში. უმრავლესობას შეადგენდა სოფლის მიწის მუშები და ჯარისკაცები. მიტინგი გახსნა ამხ. ალ. წერეთელმა, რომელმაც მოუწოდა ხალხს აერჩიათ მიტინგის თავმჯდომარე. აირჩიეს ამხ. გავაშელი, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა ხალხს, და გადაუშალა ის საფრთხე, რომელიც მოელის რევოლიუციას და მშობელ ერს ყოველ მხრიდან და მოუწოდებდა ხალხს შეიარაღებული ძალ-ღონით დაეცვათ იგი ყოველგვარ საფრთხისაგან. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. შოთა დადიანმა, დ. დოლიძემ, მ. ყაუხჩიშვილმა, ლ. ქორქაშვილმა,

ალ. წერეთელმა დაიკავა ხელში ეროვნული დროშა და მიმართა ხალხს.

„ამხანაგებო, აი ის ეროვნული დროშა, რომელსაც ათას წლობით აფრიალებდა ქართველი ხალხი თავის ხელში, და რომელიც ამ ასი წლის წინად დაატყვევა რუსეთის ბიუროკრატიულმა მთავრობამ, მაგრამ უმაგალითო რუსეთის რევოლიუციამ გაგვინთავისუფლა დატყვევებული ეროვნული დროშა და ის წმინდად დაგვიბრუნა უკან. ამხანაგებო ყოველი თქვენგანი ვალდებულია მაგრად მოკიდოს მას ხელი, და არავის აღარ დაანებოს იგი ამხანაგებო, შეფიცეთ ამ დროშას, რომ ყველა თქვენ როგორც ერთი კაცი დაიცავთ სისხლითაც კი ამ ქართველთა წმინდათა წმინდას“. და დაუსრულებელი ტაში იყო ჯილდო პასუხად. „ვფიცავთ“. „ვფიცავთ“ ერთხმად იგრიალა ხალხმა,

მიღებულ იქმნა რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა ეროვნულ საბჭოს. სანამდი ხალხი დაიშლებოდა ამხ. წერეთელმა მიმართა ხალხს სიტყვით და სთხოვა უკანასკნელად ეცათ პატივი კიტას ხსოვნისათვის და მიეცილებიათ მისი სურათი პარტიულ კლუბამდი.

და პროცესია უზარმაზარ მანიფესტაციად გადაიქცა. ზღვა ხალხი გაემართა კლუბისაკენ. მუსიკა კვლავ უკრავდა მარსელიეზას, რომელსაც ეერთდებოდა რევოლიუციონური სიმღერები. ზეიმით მივიდა ხალხი პარტიულ კლუბში. მთელი მოძრაობა ტფილისის ქუჩაზე შეწყდა. და უკანასკნელი აუწერელი ენტუზიაზმი გამოიწვია ხალხში ამხ. ლ. ქორქაშვილმა, რომელმაც გ. ზდანოვიჩის სურათთან წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.

გორი

◆ 27 იანვარს, საქალებო გიმნაზიის დირექტორმა მ. კინწურაშვილმა (ისამანმა) გაკვეთილის დროს შეურაცყოფა მიაყენა მერვე კლასის მოწაფეს მ. კალანდაძეს. ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია მოწაფეთა და მშობელთა შორის. ხდება როგორც პირველთა ისე მეორეთა კრებები.

◆ 30 იანვარს ღამე ქართველი ჯარისკაცები შეცვივდნენ „ბორჯომის“ ნომერში, სადაც ორ ქართველ ჯარის

კაცს ეძინა. ასტეხეს სროლა, ნომერში მყოფ ჯარისკაცთ აჰყარეს იარაღი და მიიმალნენ.

◆ ამავე ღამეს ვილაცეები დაეცნენ სამების ეკლესიის ახლოს ცეიხგაიზს, მოჰკლეს სადარაჯოზე მდგომარე, ქართველი ჯარისკაცი, გასტეხეს ცეიხჰაუზი და ყველაფერი გაიტაცეს. მძარცველნი ვერ აღმოაჩინეს, ამ ნაწილში, სამების ახლოს, ამ დღეს ნაშუადღევიდანვე ხშირი სროლა ისმოდა, მაგრამ ზომა არავის მიუღია საწინააღმდეგო.

◆ ქართველ ჯარისკაცთა უწესობა საზღვარსა სცილდება. ისინი თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებენ.

◆ როგორც ახლო-მახლო სოფლებიდან გვატყობინებენ, იქაც ძლიერ იზრდება ქურდობა და ძარცვა-გლეჯა და ანარქია ფართე სახეს იღებს. ცუდად იქცევიან თურმე ჯარისკაცნი, რომელნიც იარაღით ბრუნდებიან ჯარიდან.

◆ გორის ზოგიერთი ფოსტალიონ, პირნათლად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, აბუჩად იგდებენ მეტადრე განაპირა უბნების მცხოვრებთ. და აქ თითქმის სულ არ დაიარებიან და გაზეთსა და წერილებს პატრონთ სხვის ხელთ უგზავნიან 3—4 დღეში ერთხელ. იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს ფოსტის უფროსი.

ქ. ფოთი.

◆ კვირას, 4 თებერვალს ჩვენი ორგანიზაციის ინიციატორობით გაიხსნა სასტუმრო „კოლხიდის" ქვემო სართულში სასადილო „კავშირი" ფინჯანი ჩაით, რომლის ოცი პროცენტი შემოსავლისა გადაიდება სხ. და სხ. საქველმოქმედო მიზნისთვის.

◆ ს. ფედ. პარტიულ კლუბში 31 იანვარს მოხდა კომიტეტის კრება ამხ. მ. ესაკიას თავმჯდომარეობით. სხვა და სხვა საკითხთა შორის იქნა გარჩეული პარტიული რაზმის მოგვარება. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა: დაარსდეს სამხედრო სექცია, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას პარტიის მებრძოლ რაზმს. სექცია შესდგება 3 კაცისაგან, ინსტრუქტორებად მოწვეულია ლ. გაბესკირია, გ. ლიპარტიანი და ესაკია. (ოფიცრებია). ს. ფ. მთავარ კომიტეტის თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად გადაწყვიტა გაეგზავნოს 300 მ. თებერვლის პირველ რიცხვებში მოეწყობა პარტიული მიტინგი და გადახდილ იქნება კიტა აბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდი.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, 6 თებერვალს საღამოს 6 ს. პარტიის კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია ტფილისის კომიტეტის სხდომა.

— ოთხშაბათს, 7 თებერვალს საღამოს 6 საათზედ პარტიის კლუბში დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის სხდომა,

— დღეს, 6 თებერვალ საღამოს სრულ ექვს საათზე დანიშნულია პარტიის კლუბში ტფ. საქალაქო კომიტეტის სხდომა. ვთხოვთ ამხ. კომიტეტის წევრებს და მათ კანდიდატებს ნ, წუწუნავას, თ. ფალავანდიშვილისა, გ. კვერეხაძეს, უტაშვილს. ხახიშვილს, ა. იოსელიანს, მერკვილაძეს: გ. სოლოლაშვილს, შეიფარიანს, შ. ვადაჭკორიას, არ. ფანჩულაძეს და მ. ელიავას, რომ სხდომას აუცილებლად დაესწრონ,

— კვირას, 4 თებერვალს, ჩვენს პარტიულ კლუბს ესტუმრა ას ოცდაათი ფშავი ცნობილ პოეტის ბაჩანას მეთაურობით. მათ საპატივცემლოდ შესდგა კრება. რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ი. ბარათაშვილი. ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს გულსავსებით მიესალმნენ შემდეგი ამხანაგები: თვით თავმჯდომარე ი. ბარათაშვილი, ი. სტურუა, ბ. ქელბაქიანი, ნასიძე, ჭიჭინაძე, ბალიაშვილი და თოფურიძე. აგრეთვე ლამაზ ლექსით მიმართა ფშაველებს ბაჩანამ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე, კრების დასასრულს ფშაველებს აღუთქვეს იარაღის დარიგება და რაზმში ჩაწერა,

ქუთაისი. პარასკევს თებერვლის 2 თორმეტ საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ბინაზე გაიმართა ს.-ფედ. სარევ. პარტიის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტების და მუშათა საბჭოს ფრაქციის პრეზიდიუმის წევრების შეერთებული კრება, რომელსაც დაესწრნენ მთავარი კომიტეტის წარმომადგენელნი იოს. ბარათაშვილი და მ. საყვარელიძე, ი. ბარათაშვილმა მოხსენება გააკეთა რევოლიუციის და მშობლოს განსაცდელის შესახებ. კრება დიდხანს გაგრძელდა დადგენილ იქნა, რომ ამხანაგებმა გასწიონ ადგილობრივ ფართო პროპაგანდა ჯარში ჩაწერისათვის რევოლიუციის და მშობელი ერის დასაცავად.

არეულობა ამიერკავკასიაში

ჯულფა-ბაქოს რკ. გზის მოძრაობის უფროსი ტრაჩევსკი ულუხანლუდან 4 თებერვალს იტყობინება: როგორც საქმის ვითარება ამჟღავნებს, ეროვნული ბრძოლა თათრებსა და სომხებს შუა მეტად გამწვავდა და გაფართოვდა. ულუხანლუს და ნორაშენის სადგურებს გარს არტყია თათრების ბრბო, რომელიც მოწადინებულია ამოჰხოცოს ის სომხები, რომელნიც მიმავალ მატარებლებიდან ისვრიან. მოსამსახურეთა ყოფა ძალიან აუტანელია, რადგან ერთის მხრივ სომხები ბრალად სდებენ მათ, მცველებად რად დაგვნიშნეთო, ხოლო მეორეს მხრივ თათრები იძახიან, რომ მოსამსახურეების დახმარებით სომხები ახერხებენ დახმარების მიღებასო. მოსამსახურენი ხვალ სახლებისკენ მიდიან. ამ სადგურის მიტოვება იგივეა, რაც მოძრაობის შეწყვეტა მთლად ჯულფის შტოზე. დახმარება ითხოვეს, მაგრამ არ მოვიდა. ამის გამო მე და კომიტეტი პასუხისმგებლობას ვიხსნით თავიდან 63 ვერსზე გაფუჭებულ ხიდთან, თუ ხელი არ შემიშალეს და სახსარი მექნა, გზას შევაკეთებთ.

ნახჩევნიდან. აგენტი მელაძე კომისარიატს აცნობებს, რომ გახშირდა თავდასხმა მატარებლებზე. ამას წინად თავს დაესხნენ სამგზავრო მატარებელს № 25. მგზავრები გაძარცვეს და ზოგი დახოცეს. მოსამსახურენი უარს ამბობენ მატარებლებს გაჰყვნენ. მოსამსახურე სომეხ-თათრებმა სამსახურს თავი დაანებეს.

სომეხ-თათართა შეტაკება. ულუხანლუდან აგენტი კლიშჩენკო 4 თებერვალს იტყობინება: ბრძოლა სომხის ჯარებსა და მაჰმადიანებს შუა უკვე მესამე დღეა, რაც გრძელდება. თათრების განცხადებით, ულუხანლუ მალე ბრძოლის ველად გადაიქცევა, რადგან მას თანდათან უახლოვდებიანო. ბოლოს კომისარიატს ეკითხება: რა ვუყო ინვენტარს, საიდუმლო დოკუმენტებს და მოსამსახურე პირებსო.

ულუხანლუდან ტრაჩევსკი იუწყება, რომ ამ სადგურზე, საღამოს 7 საათზე, დაიწყო აშკარა ძარცვა-გლეჯა დატვირთულ ვაგონებისა ადგილობრივ მცხოვრებთაგან.

ხანლარიდან აგენტი ქუთათელაძე იტყობინება, რომ მატარებელი № 651 გაძარცვის მიზნით შემოსეულმა ბრბომ მოხსნა და ძარცვა დაიწყო. სროლა, ამის გამო რომ ასტყდა, ნახევარ საათამდე გრძელდებოდა. სროლის დროს დაიჭრა 3 კაცი წაართვეს ვინტოვკა, რევოლვერი და სხვა ნივთები. ეს მატარებელი გაგზავნილია სადგ. კოდიზე, ხოლო დაჭრილები ტფილისში არიან გამოგზავნილნიო. ბოლოს ქუთათელაძე დასძენს, თუ დახმარება არ იქნა, იმედი არ მაქვს მოსამსახურე პირების შეუდრეკელობისაო.

დეკლარაცია

ქუთაისის მუშათა საბჭოს სოც. ფედერალ. ფრაქციისა წაკითხული 26 იანვრის სხდომაზე.

დღეს პირველად ს.-ფ. მუშათა დეპუტატებს საშუალება ეძლევათ მიიღონ მონაწილეობა განახლებულ საბჭოს მუშაობაში. ს. ფ. პარტია მუდამ მომხრე იყო მშრომელი ხალხის საერთო ინტერესებისათვის შეთანხმებული ბრძოლის წარმოებისა, მაგრამ პირობები, რომლებშიაც მოხდა პირველი მუშათა საბჭოს არჩევნები, იძულებული ხდიდნენ პარტიას დარჩენილიყო გარეშე ასეთი გაერთიანებისა. წყალობის სახით მოწოდებული 5 ადგილი არ აკმაყოფილებდა პარტიის რევოლიუციონურ შეგნებას და თვითნებობით გათიშვა ჩვენი დეპუტატებისა საბჭოს პრეზიდიუმიდან ნიადაგს აცლიდა ჩვენი ნების წინააღმდეგ საერთო, შეთანხმებულ მუშაობას.

დღეს პირობები ძირიანად შეიცვალა. არავინ არის წყალობის გამცემი და არც წყალობის მიმღები: მოხდა საერთო არჩევნები და პარტიამაც სათანადო მონაწილეობა მიიღო. ამ რიგად ს.-ფ. მუშათა საბჭოში იმ გაერთიანებულ და შეთანხმებულ მუშაობის საწარმოებლად, რომელიც ჩვენი პარტიისათვის ყოველთვის საზრუნველ საგანს შეადგენდა და რომლის ცხოვრებაში გატარებას იგი მუდამ ცდილობდა და არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა დემოკრატიულ ფრონტის გაერთიანება და მშრომელი კლასის მტკიცედ დარაზმა როგორც ეს საჭიროა დღევანდელს პირობებში.

ს.-ფ. პარტიას მტკიცედ სწამს, რომ მუშათა საბჭოების წინაშე ორი მიზანი არის საერთოდ დაყენებული: პოლიტიკური და სოციალური. მუშათა საბჭომ, როგორც მშრომელი კლასის ორგანიზაციამ, უნდა გაბედული ნაბიჯები გადადგას ქალაქის მუშათა სოც.-ეკონომიურ მდგომარეობის განახლებულ პირობების შესაქმნელად. და მანვე ხელი უნდა შეუწყოს მიწის მუშების ხელში მთელი მიწის გადასვლას. მეორეს მხრივ მუშათა საბჭოებმა, როგორც დემოკრატიის მოწინავე რაზმმა, ერთს წუთსაც ხელიდან არ უნდა გაუშვას რევოლიუციის დროშა, ვიდრე მას საბოლოო გამარჯვებით არ დააგვირგვინებს. მასთან ერთად ს.-ფ. პარტიას არ წარმოუდგენია მუშათა საბჭოების მოქმედება დროისა და სივრცის გარეშე. სხვა და სხვა პირობებში მუშათა საბჭოების მოქმედება სხვა და სხვა ელფერს უნდა ღებულობდეს. და ამ მხრივ მუშათა საბჭო ადგილობრივ პირობებს დიდ ანგარიშს უნდა უწევდეს. ს.-ფ. პარტიას შეუწყნარებლად მიაჩნია ისეთი მოვლენა, რომელსაც ადგილი ქონდა უკრაინაში, სადაც მუშათა საბჭოებს ეროვნულ თვითგამორკვევის საწინააღმდეგო იარაღად ხმარობდნენ. მუშათა საბჭომ უეჭველად უნდა გაითვალისწინოს რევოლიუციის ის მხარე, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში გამოიხატება, და საბოლოოდ უნდა შეიგნოს, რომ რევოლიუციის განვითარება და დღეგრძელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ თვითგამორკვევის ცხოვრებაში გატარებასთან. მაშასადამე, **დღევანდელ პირობებში ვინც მტერია ეროვნულ თვითგამორკვევისა, ის ამავ დროს მტერია რევოლიუციის; პირ-იქით ვინც მომხრეა რევოლიუციისა, მან ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ-პოლიტიკურ ერთეულების რაც შეიძლება მალე შექმნას.**

განსაკუთრებულს პირობებში უხდება მოქმედება განახლებულს მუშათა საბჭოს. რევოლიუციონური მოღვაწეობა არსებითად რევოლიუციის დასაცავ მოქმედებად გადიქცა. დღეს რუსეთის მთელ სივრცეზე სწარმოებს ბრძოლა რევოლიუციისათვის. ასეთი ხასიათი რევოლიუციონურ მოქმედებისა გამოწვეულია იმ საფრთხით, რომელიც რევოლიუციას დაღუპვას უქადის განახლებულმა საბჭომ უნდა შესძლოს მდგომარეობის სირთულის აღიარება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება აშკარა ბრძოლის წარმოება რევოლიუციის მტერთა საწინააღმდეგოდ.

რევოლიუციის საფრთხე დაკავშირებულია ოთხ უმთავრეს მომენტთან: **ანარქიასთან, სურსათის კრიზისთან, ჯარის საქმის მოწესრიგებასთან და ომსა და ზავთან.**

ს.-ფ. მუშათა საბჭოს ფრაქცია იღებს მხედველობაში ყველა ზემოაღნიშნულს და საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის აუცილებელ პირობად სთვლის რათა განახლებული საბჭოს მომავალ მოქმედებას საფუძვლად დაედვას შემდეგი დებულებანი:

1. მუშათა საბჭო არ უნდა შეეგუოს არავითარ ანარქიულ გამოსვლებს, ყოველივე ცდა ქალაქში არეულობის გამოწვევისა, ძარცვა-გლეჯისა, ბინების დარბევისა, კერძო პიროვნების ხელ უხლებლობის დარღვევისა ენერგიულ ღონის ძიებით უნდა იყოს ძირიანად აღმოფხვრილი. **დამფრთხალი და დაუცველი მოქალაქე პატრონს ეძიებს, განურჩევლად იმისა ვინც უნდა იყოს იგი ის ქმნის ისეთ სულიერ განწყობილებას, რომელიც რეაქციას ნიადაგს უმზადებს. მუშათა საბჭომ უნდა გადადგას გაბედული ნაბიჯები რომ განმტკიცებული იქმნას რევოლიუციონური წესრიგი მოქალაქობრივ ცხოვრების მშვიდობიან პირობების შესაქმნელად.**

2. მუშათა საბჭოს უნდა ახსოვდეს, რომ სიმშილმა ხელი შეუწყო რევოლიუციას და სიმშილივე დასცემს რევოლიუციას. აქედან აშკარაა რომ მუშათა საბჭომ თავის მხრივ ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღოს სურსათის საკითხის მოგვარებაში, როგორც რაოდენობა შემოტანილი და გატანილი საქონლის, აგრეთვე მისი განაწილება მუშათა საბჭოს უახლოეს კონტროლის ქვეშ უნდა იყოს დაყენებული. მხოლოდ ამ გზით შესაძლებელია მოისპოს ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება სანოვაგის განაწილებაში. მჭიდრო კავშირის შესაქმნელად ქალაქის და სოფლის მშრომელთა შორის საჭიროა მოწესრიგდეს სოფლისთვის დამზადებულ საქონლის (ფაბრიკების) შეღავათიან ფასებში მიწოდება, რაიც შექმნის შესაძლებლობას სოფლიდან ქალაქში ასეთივე შეღავათიან ფასებში სანოვაგის შემოტანისას. ცხოვრების საშინელი სიძვირე მძიმე ტვირთათ აწვება უპირველესად ყოვლისა მშრომელ ხალხს და მჭიდრო კავშირის ჩამოგდება სოფლისა და ქალაქის მშრომელთა შორის შეახუსტებს ამ სიმძიმეს და მასთან ერთათ თავიდან აგვაშორებს ერთს დიდს საფრთხეს რევოლიუციისას.

3. ს.-ფ. პარტია იმ თავითვე წინააღმდეგი იყო მუდმივი ჯარის შექმნისა მაგრამ დღევანდელს პირობებში ჩვენს უწეო ეროვნულ არსებობისა იგი მხარს დაუჭერს ფიზიკურ ძალის შექმნას ერისა და რევოლიუციის დასაცავად. ამასთან ერთად პარტიას აუცილებლად მიაჩნია ხალხის საერთო შეიარაღება. როგორც კი ახეთი საფრთხე რევოლიუციას და ერს თავიდან ასცდება, ყოველგვარმა შეიარაღებულმა ფიზიკურმა ძალამ ადგილი დაუყოვნებლივ სახალხო მილიციას უნდა დაუთმოს.

4. მშრომელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ ზავს. ზავის საკითხი იმ საერთო პირობებში რომელშიდაც მოხდა ქართველი დემოკრატია პრაქტიკულად გადაიქცა ოსმალეთთან სეპარატიულ ზავის საკითხად ყოველ შემთხვევაში მუშათა საბჭოებმა, როგორც დემოკრატიის მოწინავე რაზმმა, ძალა დაატანონ სათანადო მთავრობას, რათა უკანასკნელმა გაბედული ნაბიჯები გადადგას ოსმალეთთან ზავის ჩამოგდების საკითხში.

დასასრულ, ს.-ფ. მუშათა ფრაქცია უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ყველა ზემოდ აღნიშნულის საბოლოოდ ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა შეიქმნას ისეთი მთავრობა, რომელიც თავის მიზნათ დაისახავს რევოლიუციის მოპოვებათა ცხოვრებაში შეურყევლად გატარებას. ასეთი მთავრობა უნდა ემყარებოდეს ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ერთა თავისუფლად გამოთქმულ ნების ყოფაზედ.

ს. ფ. ფრაქციას სწამს რომ გზა ამ ნების ყოფის გამოხატვისა არის ეროვნულ დამფუძნებელ კრებათა მოწვევა და ამ ნიადაგზე საერთოდ ამიერ-კავკასიის და კერძოდ ეროვნულ მთავრობათა შექმნა, მათ შორის კომპეტენციის სწორი და სამართლიანი გამიჯვნით.

პირველი დღე ქართულ უნივერსიტეტში

(შთაბეჭდილება)

არ ვიცი ეს ცხადათ იყო თუ სიზმარში, მხოლოდ ის ვიცი, რომ 30 იანვარს 1918 წ. ქართულ გიმნაზიის ერთ-ერთ დარბაზში აურაცხელი სტუდენტობა და მსმენელები მოუთმენლად ელოდნენ ლექტორის გამოსვლას კათედრაზე.

ბოლოს უეცრად მოიქცა ქართველური გულუხვი ტაშის მთა, რამაც გამომაღვიძა და დამანახა სიცხადე დიდი ხნის ოცნებისა.

ტაშმა დიდხანს გასტანა. ბოლოს უცბად მიწყდა ყოველი და ისეთი სიჩუმე დამყარდა, რომ დარბაზის კედლების ფიქრსაც კი გაიგებდა მოდარაჯი ყური.

ლექცია დაიწყო. ლექტორი კითხულობდა პიროვნებაზე, რომელიც დღეს, მეოცე საუკუნეში, დიდი რევოლიუციის ხანს ისეა შებღალული, რომ ვინმე მაწანწალას შეუძლიან მოჰკლას დიდი გენიოსი და ორი დღისაც არ იქმნას დაპატიმრებული კომისართა მიერ;

ლექტორის ხმა, სმენად სულგანაბულ დარბაზში ისე გაისმოდა, როგორც მედავითნის ხმა მიცვალებულის თავთ, რომელიც შესანდობელს კი არა კითხულობდა, არამედ მოუწოდებდა ქართველ ერს და უფრო ქართველ ახალგაზრდობას შრომისათვის, ერთგულებისათვის.

ვისმენდი ლექციას ქართულს უნივერსიტეტში!

განა ხუმრობა საქმეა ეს!

გადამეტებული სიამოვნება მხუსხავდა და ეს სუსხი ჟრუანტელივით მივლიდა ტანში. ყოველი ღერი თმა ჩემი სმენად იყო აღძრული და იყო სიწყნარე. ოცნების ფრთებმა გადამატარეს მთელი ღედა მიწის ზურგი და ვინ იცის რა ბედნიერება არ განვიცადე ქვეყანათა შორის, როგორ ვარდის ფრად არ წარმოვიდგინე საქართველო, მაგრამ როცა ლექცია გათავდა, ერთმა ქალმა უთხრა მეორეს:

— Немножко не поняла, что он говорит-о.

ამან სულ მთლად დაფუშა ჩემი ოცნების კოშკები და ისე დამრჩენია მოუწოდო ქართველ ხალხს: იცან შენი თავი! ჩვენცა გვაქვს ჩვენი ისტორია, ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა—ხელოვნება; შევისწავლოთ იგი და გავხდით ის, რადაც ბუნებამ გვშობა; რაც უნდა ვიყოთ!

ი. მჭედლიშვილი.

ირკუტსკის დარბევა

ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა „დელო სიბირის" დამატება—დეპეშა, რომელსაც ვსთარგმნით. დეპეშას 17 დეკემბრის თარიღი აქვს.

სამი ადრესი: პეტროგრადი: დამფუძნებელ კრებას, ციმბირის დეპუტატებს, ასლი ჩერნოვს, ასლი სახალხო კომისართა საბჭოს.

მერვე დღეა ირკუტსკში ბრძოლაა გაჩაღებული ბოლშევიკების გამოსვლის გამო, რომელნიც სცდილობენ სახალხო კომისარების დეკრეტები განახორციელონ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ რეგულიარული ჯარი და წითელი გვარდია. მოწინააღმდეგენი არიან: იუნკრები, ყაზახები და მოქალაქენი.

ქალაქს ანგრევენ არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით. სახელმწიფო ბანკი, ტელეგრაფი გადამწვარია, მთელი უბნები და საწყობები განადგურებულია. მსხვერპლი უთვალავია. ყოველგვარი რევოლიუციონური აზრი დაჰკარგა ბრძოლამ, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

გამწარებული ხალხი თვითმპყრობელობას ნატრულობს. ხალხი შეშინებული გარბის. სადგურები და ქალაქს გარედ ნაწილები გამოქცეულებით სავსეა. მათ არა აქვთ არც ბინა, არც საჭმელ-სასმელი. ქალაქში შიმშილობაა. ბავშვები ორმოც გრადუსიან ყინვაში იხოცებიან. ფოსტა, ტელეგრაფი მთავრობის ყველა დაწესებულებანი დაკეტილია. ნაძირალები, ვითომდა წითელ გვარდიელები ძარცვა გლეჯას ეწევიან. საფრთხე მოელის საბჭოს, რკინის გზას, სასურსათო საწყობებს და სხვ.

ამ დღეებში ალბად ყველა დაწესებულებანი დაიკეტება. აღმოსავლეთი საბოლოოდ მოსწყდება დასავლეთს. ირკუტსკი უდიდესი სატრანზიტო პუნქტია და თუ აქაური საწყობები მოისპო, რუსეთს მოაკლდება ასეული მილიონების სასურსათო და სხვა ნივთიერებანი.

ციმბირის კოოპერატივების კავშირის წევრი **მოროზოვი.**

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო მოწყვეტილია მთელს ქვეყანას და არ ვიცით რა ხდება. თითო ოროლა ვინც ახერხებს უბედურების თავის დაღწევას და მოდიან ტფილისში მათგან ვტყობილობთ, რომ ბევრგან „ბოლშევიკურ" მოძრაობას ენით გამოუთქმელი მახინჯი სახე მიუღია.

ამ ორი დღის წინად ტფილისს ჩამოვიდა ნაფიცი ვექილი ვ. კ. პოტებნია (სამსახურიდან გამოსული ჭრილობისა გამო შტაბს-კაპიტანი) რომელიც საშინელს და აუწერელს ამბებს გადმოგვცემს, თუ კი რამ შეეძლო მგზავრს ზერელედ და შემთხვევით ენახა და გაეგონა. რამდენიმე თვის მგზავრობის შემდეგ ციმბირიდან ეხლა მოაღწია ტფილისამდე და საშინელს შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს გონება ვერ მოუკრებია დალაგებით აგვიწეროს ის ჯოჯოხეთური ამბები, რომელიც მას გამოუცდია და უნახავს. მისის სიტყვით მთელი ქალაქები გადამწვარი და გაძარცულია. ირკუტსკი, პენზა და სხვა ისეა გადამწვარ-გაოხრებული, რომ ნაქალაქარს მოაგონებთ. საკუთრივ დიდი მწუხარება მისდგომია ბ-ნ პოტებნიას. ამბობს ცრემლ მორეული: სამნი წამოველით და ორმადა ძლივ სული მოვაღწიეთ ტფილისამდე. ვაგონში ჯალათმა სალდათებმა ჩემი პატარა შვილი ფეხქვეშ გამისრისეს, რაიმე სულს გარედ მებადა, გამცარცვეს და შემაგინესო.

ღილა უხუნდეგათ

აი ამ ორიოდ საათის წ. 6, ვიდრე კალამს ხელში ვიღებდე, ჩემთან ერთი ნაცნობი სოფლელი გლეხი იყო და მეკითხებოდა—გეთაყვა, ნასწავლი კაცი ხარ და გეცოდინება, ამას წინად რომ კენჭი მიცემა იყო (დამფუძნებელ კრების არჩევნები ს—გ) აღარ მოხდება მალე? ჩვენს სოფელში ყველა იძახის, პირველ ნომერს რომ ხმა მივეცით, შევცდით. იმაზე კარგი სხვები ყოფილან. ამბობენ—იმ კანვერტებს მალე დაგვიბრუნებენ უკან და ნომერი გვინდა გამოვცვალოთო. ასეთი ამბავი მომივიდა [illegible] [illegible] არჩევნების, [illegible] საარჩევნო „კომისიის" წევრებთან და გამოუცხადეს—აღარ გვინდა პირველი ნომერი, მოგვეცით უკან, სხვა ნომერი უნდა ჩავაგდოთო. და ამ დამახასიათებელ და საყურადღებო მოვლენაზე მსურს ამ ჟამად ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ.

დამფუძნებელი კრების არჩევნების კვალი ჯერ ისევ წარუშლელია და ცოცხალია ჩვენი სოციალ-დემოკრატების ოინბაზობის ნიშნებიც. ხმების დათვლამდეცა ვწერდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ „გამარჯვება" პირველ ნომერს უნდა დარჩენოდა უეჭველად, რადგან ისეთი ერთგულება თაღლითობასა, და ძალადობას და უსამართლობაში, როგორც ამ არჩევნებში ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა გამოიჩინეს, უნდა ვსთქვათ—ვერც ჩვენ, ვერც სხვა ვინმე, ვერც თვით ძველი მთავრობის ბოქაულები და ჟანდარმები გამოიჩენდნენ. და რატომ არ გამოიჩენდნენ, როცა გასდით და ბატონობის სურვილიც მათ ისე აღიზიანებს! და ოთხ-სართულიანი საარჩევნო სისტემა, რომელზეც სოციალ-დემოკრატები ყოველ გზა ჯვარედინზე გაჰკიოდნენ, ერთ-სართულიან—წიჰკა და წაიჩხირე ხელში პირველი ნომერი! სისტემად გარდაიქციეს. განა არის კიდევ ვინმე, რომ ამის დამამტკიცებელი საბუთები სჭიროდეს? განა მთელი არჩევნები უკანონო და უსამართლო, ძალდატანებითი და უწესო არ იყო? წაისიდგავდნენ საარჩევნო ყუთს, შემოუსხდებოდნენ „ამხანაგები", და ხუნაუზ-მილიციონერების და კომისრების ხელით დაგზავნილ პირველ ნომრიან კონვერტებს ტყაპა-ტყუპი გაჰქონდა ყუთში. ბევრგან სოციალ-დემოკრატების ოინბაზები იქვე, ყუთთანვე, კომისიის თვალწინ ხსნიდნენ კონვერტებს და თუ სხვა ნომერი აღმოჩნდებოდა, უბევდნენ და კონვერტში პირველ ნომერს უბეჭდავდნენ. და როცა ჩვენი ამხანაგები ასეთ ოინბაზობაზე პროტესტს აცხადებდნენ, მუშტით უპასუხებდნენ. მაგალ. კახეთის ერთ სოფელში ერთი ჩვენი ამხანაგი აიყვანეს და გადმოაგდეს და იქვე უნდოდათ ჩაექოლათ მხოლოდ იმიტომ, რომ პროტესტი განაცხადა სოციალ-დემოკრატების ოინბაზობის წინააღმდეგ. და როგორც ყველგან, ისე იმ სოფელშიც, საიდანაც ის ჩემი ნაცნობი გლეხია, სახელდობრ—სოფ. ქიწნისში,—ისევე ძალადობით, და უკანონო ყოფილა არჩევნები. დიაკვანმა წინდაწინვე დაგვირიგა პირველი ნომერი და ჩვენ ყველანი იძულებული ვიყავით ჩაგვეყარა ყუთში ის ნომრები, თუმცა გვესმოდა, რომ სხვა ნომრები უფრო კარგიაო. ეხლა უფრო დაბეჯითებითა ლაპარაკობენ სოფელში ამაზე და იმედიცა აქვთ—ყუთს უკანვე გამოგზავნიან და პირველ ნომერს გამოვცვლითო. ამგვარ უსამართლობის და უკანონობის ამბავი არ ახალია, ძველია, ყველგან მოხდა არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებისაგან, ყველგან, სოფლად ქალაქად და მკითხველ საზოგადოებასაც ამ უსამართლობის ამბებით ალბად ყურები აქვს გამოჭედილი. აღარც ჩვენ გავახსენებდით, რომ საინტერესო არ იყვეს ქიწნისელ „სოციალ-დემოკრატ" დიაკვნის პიროვნება და დამახასიათებელი ის შემობრუნება, რომელიც მოხდა და მოხდება კიდევ ჩვენი გლეხობის სულისკვეთებაში არჩევნების აქეთ. ის დიაკვანი... თავის ჩარჩობით იყო ცნობილი რევოლიუციამდე და რევოლიუციამდევე იგი ფეხებს ულოკავდა კნ. ერისთავისას, ამ უკანასკნელის ლაქია და მონა იყო დი მის დავალებითაც სულსა ხდიდა ადგილობრივ გლეხობას, ეს მე პირადად ვიცი. ხოლო რევოლიუციის შემდეგ ერისთვის ლაქიობა მისთვის ალბად ხელსაყრელი აღარ იყო და ჩარჩის ბნელი ფიზიონომიის დასაფარავად სოციალ-დემოკრატიის მანტიაში გამოწყობილა და სოფელს მოჰქცევია სათავეში. მართლაც ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავი დამფუძნებელ კრების იმ სოციალ დემოკრატმა დეპუტატმა, რომელიც ამ დიაკვნისაგან შეგროვილ ხმებით შემოსკუპდა დეპუტატის სავარძელში.

უფრო დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ გლეხობა „უკან მოითხოვს საარჩევნო ყუთს და პირველი ნომრის გამოცვლაზე ოცნებობს". მით უმეტეს, რომ ეს მარტო ქიწნისში არა ხდება, ხალხი თვალს იფშვნეტს და სოციალ-დემოკრატიის ბედის ღმერთი სხვა ჰანგზე აპირებს დალაპარაკებას 1905 წლიდან მათი მაგარ ცხის კიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები შიგნიდან გაიბზარა და რანაირადაც არა სცდილობენ სოციალ-დემოკრატიის მესვეურნი და მაჩანჩალანი ამას ხელი მიაფარონ და რღვევის ხაზი ხელოვნურად დაჰფარონ, რღვევის და დაშლის პროცესი მაინცა გრძელდება და შორს იქნება არ იყვეს ის დრო, როცა მათი ციხე სიმაგრე დაფუტკენილი ჩამოიშლება, ისე, როგორც რუსეთში დაირღვა და დაიშალა მათი ციტადელი. განა ამის მაჩვენებელი არ არის ის, რომ დამფუძნებელ კრების მრავალრიცხოვან წევრთა შორის რუსეთში მხოლოდ სამი-ოთხი სოციალ-დემოკრატი მენშევიკი მოჰყვა? და თუ დღეს მენშევიზმის სამარეზე იქ „სულთათანა" ჰგუგუნებს, აქ, ჩვენში, სოც.-დემოკრატიის გამარჯვების ყალბ ყიჟინში სასოწარკვეთის ხმაც გამოისმის და „სულთათანა" მათ ზარს აქაც ჩამოურეკავს. სოციალ-დემოკრატების ლილას ფერი დაეკარგა და უხუნდებათ, მათგან ეკალმოფენილ და მოშხამულ ასპარეზზე სალი შეგნება და გათვითცნობიერება აღმოცენდება და მალე მოიმკიან იმის ნაყოფს, რასაც დღეს ასე გულუხვად და ორი ხელით სთესავენ.

ისტორიის და ცხოვრების კანონი მათ დემაგოგობას და უკუღმართობას არ დაემორჩილება.

ხანგანიძე.

კოოპერატიული მოძრაობა

ქ. ახალციხე. 28 იანვარს რაბათის დედათა სასწავლებელში მოხდა კოოპერატივ „მესხეთის" წევრთა საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ლ. ს. ფირალიშვილი, ზაქარია დიდიძმიშვილის მდივნობით. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2. დამტკიცება 1917 წ. ანგარიშისა; 3. დამტკიცება 1918 წლ. ხარჯთაღრიცხვისა.

როგორც კრებაზე გამოირკვა, მიუხედავად იმისა, რომ სარევიზიო კომისიაში შედის 5 წევრი, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ თვითეულ მათგანს, დაეწერათ მოხსენება თავისივე ხელით, მოხსენება იყო დაწერილი ერთერთ გამგეობის წევრის მიერ. მოხსენება ხელმოწერილი იყო ორი წევრის მიერ და დანარჩენმა სამმა წევრმა ხელი მოაწერა მოხსენებაზე კრების გახსნის შემდეგ. გამოირკვა ისიც რომ სარევიზიო კომისიას ყველა საქონელი არ გადუწონავს, მაგალითად, კართობილი და ნდობია კოოპერატივის წიგნებში ნაჩვენებ ციფრებს.

რევიზიაც ასეთი უნდა! ერთი სარევიზიო კომისიის წევრის თქმისა არ იყოს, მარტო სახელის ტარება ხარგებლობას ვერ მოიტანს, საჭიროა ამოირჩეს ისეთი პირები, რომლებსაც მართლა შეეძლებათ საქმის გაკეთება, თორემ რა საჭიროა ისეთი სარევიზიო კომისიის ყოფნა, როგორიც არის დღეს.

1917 წლის ანგარიშიდან აღმოჩნდა შემდეგი: 1918 წლის პირველ იანვრისთვის საქონელი—16870 მან. 13 კ., მთელი წლის განმავლობაში შემოსულა საქონელი 78596 მან. 71 კაპ., გასულა 75626 მ. 73 კ., მთლად შემოსავალი ფულად 108951 მან. 58 კაპ., გასულა 108801 მან. 66 კაპ.; დაუხარჯავთ სავაჭრო საქმეებზე 4877 მ. 10 კაპ. წლის განმავლობაში მომატებია 453 წევრი, გასულა 7.

აქტივი

სალარო 149 მ. 92 კ.
საქ. ნაშთი. 17870 მ. 13 კ.
15 პროც. 2530 მ 50 კ. 14339 მ 53 კ.
მართებთ კოოპერატივისა 13515 მ 67 კ.
ინვენტარი 1917 წლისა 1300 მ 21 კ.
29305 მ. 48 კ.

პასივი

ვალი აქვს კოოპერატივს 6369 მ. 50 კ.
სამარაო თანხა 10271 მ 10 კ.
სავაჭრო ოპერაციისთვის 3370 მ. — კ
სათადარიგო თანხა 1227 მ — კ
ინვენტარი 1916 წლისა 950 მ. 86 კ.
1917 წ. წმინდა მოგება 7116 მ. 97 კ.
29305 მ. 48 კ.

კრებამ, რომელსაც დაესწრო 150 წევრამდე (სულ კოოპერატივს წევრი 800 ადამიანა) დაინახა რა მოგება 7116 მ. 45 კ., დაამტკიცა როგორც ნაჩვენები ანგარიში, აგრეთვე გამგეობის მიერ წარმოდგენილი 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა.

წმინდა მოგებიდან, წესდების ძალით, სათადარიგო თანხას მიემატა 710 მან. მოგებიდანვე კრებამ დაადგინა: კოოპერატივისათვის საკუთარი სავაჭრო შენობის შესაძენად გადაიდოს 500 მან., მიეცეს მოსამსახურეებს საჩუქრათ 322 მ. 50 კ., სომხების საქველ-მოქმედო საზოგადოებას 200 მ., წლის გამოსაყვან თანხას მიემატოს 500 მან., ახლად დაარსებულ რაბათში ქართულ სკოლას გადაეცეს 500 მან., ქალების სკოლას რაბათშივე 500 მან., წ.-კ. გ. ს. ადგილობრივ ბიბლიოთეკას 100 მან., მიეცეს 100 მან. ექვსი პროცენტით იმ წევრებს, რომლებსაც საწევრო ნორმაზე მეტი აქვთ შეტანილი ფული.

დანარჩენი 3684 მან. 47 კაპ. კრებამ დასტოვა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთვის და ადგილობრივ ქართველთა ინტერპარტიულ საბჭოსთვის. ამ თანხის განაწილება ორ დაწესებულებათა შორის მოხდება თებერვლის 2 ს და ამ დღეს გამოირკვევა, რამდენს არგუნებს კრება ეროვნულ საბჭოს და რამდენს—ადგილობრივ ინტერპარტიულს.

„მესხეთის" გამგეობაში არიან ერთი თუ ორი მოღვაწე, რომლებიც კარგად მუშაობენ, მაგრამ მათ მუშაობას ძალა ეკარგება, რადგანაც დანარჩენები არაფერს ვაჭრულს არ აკეთებენ.

საერთოდ. „მესხეთის" საქმეები—ადვილ-მიცემა არანორმალურ პირობებშია, მაგალითად, არა ჩანს თვითეულ წევრს რამდენი უყიდნია წლის განმავლობაში.

ახლო მომავალში მოხდება წევრთა საზოგადო კრება, რომელიც აირჩევს ახალ გამგეობას და სარევიზიო კომისიას და იმედია, როგორც პირველი, ისე მეორე შეუდგებიან საზოგადოებრივ საქმეს გულმოდგინედ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ პირობებში აუცილებელი საჭიროა კოოპერატივის საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან, მით უმეტეს, რომ ამას გვიკარნახებს კოოპერატივის შენობის ადგილი და მდებარეობა.

ძველად მცხეთელი

ბრძოლა ლოთობასთან

თუ რა მავნებლიია და დამღუპველი ლოთობა, როგორც კერძო ადამიანისათვის, ისე მთელი ერისათვის—ყველას მოეხსენება. ჩვენში რომ სტატისტიკა არსებობდეს,—პირდაპირ განვცვიფრდებოდით და საშინელი სურათი გადაგვეშლებოდა თუ ამ ნიადაგზე წელიწადში რამდენი კაცის კვლა და სხვა უბედურება ხდება საქართველოში.

მეტადრე ამ უკანასკნელ ხანებში ეჩინა თავი ამ სამწუხარო მოვლენამ. დღე არ გაივლის, რომ რომელიმე გაზეთში არ იყოს მოთავსებული ცნობები—თუ რა ფართო ხასიათს ღებულობს ჩვენში ლოთობა,—გავიხსენოთ გორის უკანასკნელი ამბავი, სადაც ბახუსის თაყვანის მცემელმა „გმირებმა" უკვდავჰყვეს თვისი სახელი... რაღა შორს წავიდეთ,—ავიღოთ საქართველოს დედა-ქალაქის უკანასკნელი ამბებიც: უმეტეს შემთხვევაში ყველა ეს ექსცესები ხდება სიმთვრალე-ლოთობის ნიადაგზე! ამიტომ გვმართებს დიდს და პატარას სასტიკი და ულმობელი ბრძოლა გამოუცხადოთ ამ სენს.

თუ ფინლანდია დღეს თავისუფალია და აქამდისაც ჩვენზე უფრო თავისუფალი იყო, სხვათა შორის, უნდა უმადლოდეთ იმასაც, რომ მათ ქვეყანაში მაგარი სასმელები იმ თავითვე აკრძალულია, ვინაიდგან ფინელებმა კარგად იციან მისი უაღრესი მავნებლობა; აგრეთვე იციან ისიც თუ როგორ ეტანება რუსობა ამ სასმელს—ვით ფუტკარი ყვავილს. სწორედ ამ გარემოებამ აიხსნება, რომ მათ ქვეყანაში არ არის უკანასკნელების ქარხნები, მიუხედავად იმისა რომ ფინეთი ზედ აკრავს მათ სატახტო ქალაქს.

აგრეთვე მეტი არ იქნება მოვიყვანოთ აქ მეცნიერთა აზრი ამ საგანზე: „...ანტი-ალკოჰოლურ კონგრესზე ვენაში ექიმმა ბეცოლამ შეურყევლად დაამტკიცა, რომ აღწერილობის დროს 9000 შემთხვევათაგან იდიოტიზმისა (სასულელე) 1910 წელს კანტონ გრაუბინდენში (შვეიცარია) ყველაზე მეტი ჩაისახა ამ სულელებისა ხდებოდა იმ დროს, როდესაც ყურძენს ჰკრეფდნენ და აგრეთვე ყველ ერში, რომლებიც ჩვეულებრივზე მეტს სვამენ. იმ კანტონებში, მაგალ. ჟენევის ტბის ახლო, სადაც ღვინო მოჰყავთ, მაქსიმუმი იდიოტების ჩასახვისა ხდება ღვინობის თვეში"... (პროფესორი ა. შაფლე).

თუ ზემოაღნიშნულ ფაქტს სიმთვრალე ლოთობის შესახებ განათლებულ შვეიცარიაშიაც აქვს ადგილი, რაღა უნდა იყოს ჩვენს დალოცვილ სამშობლოში?!

ამიტომაც საჭიროა სასტიკი ზომების მიღება მის წინააღმდეგ; ჩვენის აზრით აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გამოიცეს ამ მხრივ რაიმე დეკრეტი, ვისაგანაც ჯერ არს—თუ გვინდა რომ ჩვენ ქვეყანაში წესრიგი და თავისუფლება დამკვიდრდეს...

ერმალოზაკ ხი.

სოფ. ლელვას სკოლისათვის

სოფ. წყავრცკას (8 ვერსით არის დაშორებული ქობულეთი) სკოლისათვის ფულის შესაგროვებლად ტფილისში ჩამოვედით.

ერთ სასტუმროში გავიცანით ერთი პატიოსანი ქართველი მოღვაწე, ივანე ვარაზაშვილი, რომელმაც დიდის აღფრთოვანებით მიგვიღო და დიდი დახმარებაც აღმოგვიჩინა ხსენებულ სკოლისათვის. ჩვენთან საუბარში მან სთქვა: „სამაჰმადიანო საქართველოში კულტურული მუშაობის გასაწევად საჭიროა შესდგეს ერთი ჯგუფი ქართველებისა, რომელიც ქართველ მაჰმადიანების სწავლა-აღზრდის საქმეს შეუწყობს ხელს.

როდესაც ჩვენი საქმე მოვათავეთ და მოვედით ბ-ნ ვარაზაშვილთან დასამშვიდობებლად, მან გვთხოვა, ერთი დღე კიდევ დაგვეცადა; ჰქონდა ჩვენთან მოლაპარაკება სოფ. ლელვაში სკოლის დაარსების და ამისთვის სათანადო სახსარის გამონახვის შესახებ. ამ სკოლის მოსაწყობად მან თვითონ უკვე 500 მანეთი გადადვა.

ლელვა 7 ვერსის მანძილზეა ოზურგეთიდან. გურია და ლელვა პირში და ლხინში მუდამ ერთად არის. აღნიშნული სკოლის გახსნის იდეა ლელვის საზოგადოებაში სამი წლის წინად დაიბადა, ხოლო უსახსრობისა გამო შეუძლებელი შეიქმნა მისი განხორციელება.

ახალგაზრდობის სურვილი და მისწრაფება ბ-ნმა ივ. ვარაზაშვილმა მოიყვანა სისრულეში და ქვეყანაც გვპირდება დიდი დახმარების გაწევას.

ლელვა სამაჰმადიანო საქართველოს და გურიის საზღვარზედაა, ოზურგეთს დაშორებულია 7 ვერსით. ხოლო ლეხოურს ოთხი ვერსით. თუ გვსურს, რომ მთელი სამაჰმადიანო საქართველო დაწინაურდეს განათლების მხრით, უპირველესად ყოვლისა საჭიროა მკვიდრ საფუძველზე დავაყენოთ განათლების საქმე გურიის მოსაზღვრე ადგილებში: ლელვაში, ალამბარსა და ქობულეთში, რომ შემდეგ გავაცხოველოთ საგანმანათლებლო მუშაობა აჭარის უფრო ჩამორჩენილ ადგილებში. ქობულეთის მხარე უნდა იქცეს განათლების გზად და ხიდად ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის. ბ-ნ ივ. ვარაზაშვილს უდიდეს მადლობას უცხადებს ქართველი მაჰმადიანობა.

ვთხოვ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ქობულეთელი ქემალ ნუგაიძელი.

ოზურგეთის მაზრის და ბათომის ოლქის მასწავლებელთა დელეგატებს ამხ. თოთიბაძეს და ოდიშარიას.

ამხანაგებო! სახალხო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაზე, რომელიც მოხდა ქუთაისში ამა წლის 16, 17 და 18 იანვარს, გამოტანილ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ პასუხი გაგვეცა ყრილობის სახელით გაზ. „ერთობისათვის", რომელმაც მეტად გაუკვირდა მშიერი და შიშველი მასწავლებელთა ეკონომიური ნიადაგზე გაფიცვის გამოცხადება და მათ წინააღმდეგ არა საკადრისათ გამოილაშქრა, განსაკუთრებით ბრალს სდებდა და გაფიცვის ინიციატივას აწერდა ერთი მიმართულების მასწავლებლებს და სთვლიდა მათ ხალხის მოღალატედ. თქვენ მოგვეცით პატიოსანი სიტყვა და დაიბარეთ, მალე, ერთი კვირის განმავლობაში, გასცემდით შესაფერის პასუხს და მით მოხსნიდით ცილისწამებას ამხანაგებს, მაგრამ გავიდა ორი კვირა და თქვენ სდუმხართ და ხმას არ იღებთ. „ერთობა-სოც.-დემოკრატი" კი განაგრძობს ცუდი სუნის წერილების ბეჭდვას მასწავლებელთა გაფიცვის შესახებ.

გთხოვთ გვიპასუხოთ, რას მიეწერება თქვენი საქციელი?!.

ლადო ბზვანელი.

მოწერილი ამბები

ქ. ხონი. კვირას, 21 იანვარს, საოსტატო სემინარიის დარბაზში გაიმართა სალიტერატურო საღამო ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ვ. მალაქიაშვილის ხელმძღვანელობით. იმ საღამოთა შორის, რომელიც იმართება ქ. ხონში, სემინარიელების საღამოს ყოველთვის განსაკუთრებული ალაგი ეკავა, როგორც თავის შინაარსის მხრით, ისე წმიდა ტეხნიკურ მოწყობის მხრითაც. ამ დღის გამართულ საღამოზედაც ხონის საზოგადოებამ არ დაივიწყა თავისი ტრადიცია და მრავლად მიაწყდა სემინარიას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს საღამო სუსტი გამოდგა შედარებით სხვა მათ საღამოებთან, თუმცა ამხ. ხელმძღვანელის და კომისიის წევრების პამფულიაცია ცდას აღემატებოდა. საღამო შესდგებოდა სამ განყოფილებისაგან. პირველ განყ. წარმოდგენილ იქმნა „ბატონი და ყმა", რომელიც გვარიანად ჩატარდა. მე II გან. დაუკრა სიმებიან ორკესტრმა, რომელიც ცუდად იქნა შესრულებული. ამის ფაქტორი ის იყო, რომ სიმები დაწყდა... შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. კარგად წაიკითხეს ლექსები კუტივაძემ, ჩიტაიამ, გ. ხოფერიამ და სხვა. წაკითხულ იქმნა სცენებიც. ბევრი აცინეს საზოგადოება ამხ. მოწ. ფე ხარაბაძემ და ნ. მალაზონიამ მხიარული მინიატურებით. საღამო 11 საათზე გათავდა.

წმინდა შემოსავალი 480 მან. უდრიდა, რომელიც თანაბრად გაუნაწილეს ღარიბ მოწაფეებს.

მადლობის ღირსი ამხ. მალაქიაშვილი, რომლის საშუალებით ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესებულ იქმნა ეკონომიური მდგომარეობა ღარიბ მოწაფეებისა და აგრეთვე დამსწრე საზოგადოებაც.

მუშიშვილი.

გამომცემელი
ხასონ ფიჩხაძაძე
[illegible]

იყიდება სახლი
ავლაბარში, ორსართულიანი 12 ოთახიანი სამზარეულოებით. სახლი ორ ქუჩაზე გადის. სახლი ისეთს ადგილას არის, რომ აგარაკის მაგივრობას გასწევს—ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების ახლო. სახლს ბანკის ვალი აქვს, იკითხეთ ავლაბარში, მარტყოფის ქუჩა № 22, სახლის პატრონ ქალთან ეზოში. 166

იყიდება იაფად
გაწმენდილი ოსმალური მელის ტყავები. 20—25 ცალი ფასი 20—15 მ. ყაზბეგის ქუჩა 9 ბაქრაძის ბინა. 163

საბუღალტრო კურსები
გ. ქ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პალავანდის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
შ. ა მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სახებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის საგუბ. საავადმყოფოსი, იღებს 1½—3½ ს., გარდა კვირისა. მისამართი: [illegible] ქ. № 1. ტელ. 16—57 1009

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მახაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მოზდოკის ქუჩების ქიმი, სახლი პაპოვისა. 142

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფებს (ფსიხოთერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, დ პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიძისა. ტელეფ. 6—71 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ოთახი 1002

ექიმი ქალისა
ნინო [illegible]
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ბ. გ. მეჯრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ. კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის ტვინში ვენის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1086

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., სახებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (შარდის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორია ა. ნავასარდიანი. 1001

„სახალხო საქმი"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.	
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „	
გრდემლი წ. I	3 „	
ქართველი მწერლები.	2 „	
უცხოეთის „	2 „	
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „	20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო".	—	40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი".	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყოვნებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14
სტამბა ასრულებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს სუფთად, იაფად და თავის დროზე

სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა, სახლი № 14